# ერი

№ 13

წელიწადი პირველი

1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით. . . . . . . . 4 მანეთი

თვიურათ . . . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

შაბათი, 16 ნოემბ.

მისამართი: Кут[illegible] редакция газ.

„[illegible]“

Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



ელექტრო-თეატრი „რადიუმი“

15, 16-სა და 17 ნოემბერს

I. პატე-ჟურნალი № 243

II. შავი ბურთი

3 მოქმედ. დრამა.

III. დროებითი ქვრივის ღამე

კომედია. მონაწილეობენ რუსის გამოჩენილი კომიკი ქ. ა. ვარლამოვი, დ გამოჩენილი მაცეკვარი ქალი საიმპერატორო თეატრისა ე. ა. სმირნოვისა.

დრაფი, ბიბერი, ტრიკო, მაუდი.

პაევზე დამყარებული ამხანაგობა

ს. მ. პირაკოზოვი და ზ. გ. ოგანოვი

ბუმაზეი, ფლანელი, ვიგონი, შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი საზამთრო საქონელი

კოტიკი, პლიუში, ველვეტი.

შაბათობით იყიდება იაფათ ნაჭრებათ.

ველვეური, გენუის, იდეალი, ფლორა.


ქვრივი ცაცუ ჯაგუს ასული ყრუაშვილისა შვილებით აუწყებს ნათესავებსა და მეგობრებს, რომ განსვენებულის

**ლუარსაბ მიხეილის ძის ყრუაშვილის,**

ფოთის ქალაქის გამგეობის ყოფილი წევრის ერთი წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, 17 ნოემბერს, ფოთის სასაფლაოს ეკლესიაზე დილის თერთმეტ საათზე.


## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთის და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის, გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი **ახლათ მიღებული საქონლები:** კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშვების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშვების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს **ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწვდომია და უვაჭროთ.**

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.


## განცხადება.

გრძელდება ხელისმოწერა ჟურნალ **„სასოფლო გაზეთზე“**

24 ამ თვეს შესრულდება ჟურნალის არსებობის ერთი წელიწადი, მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისათვის. წლიური ფასი ჟურნალისა 4 მანეთი, ნახევარი წლის 2 მანეთი. ფულის შემოტანა შეიძლება ორ ჯერათ: 2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანათი 1 მაისისთვის.

მთელი წლის ხელისმომწერს გაეგზავნება ბოსტნეულობის და საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.

ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Кутаисъ. Селскохозяйственная школа Александру Шарашидзе.


ვ-ინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

**პაროსი** { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**

თ ფ ი ლ ი ს შ ი.

## ახლათ გამოშვებული პაპიროზები „დ ე ლ ი - ბ ა ბ“

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. ი ყ ი დ ე ბ ა ყ ვ ე ლ გ ა ნ.

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა“ ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

**აქიმი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**ლაბა ზესტაფონი**

**აქიმი ლ. დ. ნაზაროვი**

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშვთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

**აქიმი** ქ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**აქიმი** გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშვებისა და ვენერიულ ავათმყოფებს, დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

**აქიმმა** ბ. ა. მირაქოვმა დროებით რუსეთში წასვლის გამო შეწყვიტა ავათმყოფების მიღება.


# განცხადება.

**კავკასიის სამთო გამგეობა აცხადებს, რომ 7 დეკემბერს 1913 წ. მოწვეულ იქნება ქალაქ ქუთაისში შორაპნის მაზრის შავიქვის მრეწველთა XVI მორიგი კრება, 1-ლი კავკასიის სამთო ოლქის სცაცსკი სოვეცნიკის ინჟენრის აბრამ გრიგორის ძის ცეიტლინის თავჯდომარეობით, შემდეგი საკითხების განსიხილველათ:**

I. კრების მდივნის არჩევა.

II. განხილვა ანგარიშებისა: ა) კრების საბჭოსი; ბ) სარევიზიო კომისიისა; გ) ჭიათურის რკ.-გზაზე პლატფორმათა და ვაგონების განმანაწილებელი კომიტეტისა.

III. განხილვა მაღაროების სიმდიდრის სტატისტიკური ცნობებისა, მადნის რაოდენობისა რკინისგზის სადგურებზე და აგრეთვე გაზიდვისა, გადასაზიდ საშუალებათა და საწყობი ადგილებისა, როგორც ჭიათურის შტოზე, ისე მთავარი ლიანდაგზე.

IV. დაწესება ვალისა საფუთო გადასახადის მოკრეფის შესახებ საბჭოს სასარგებლოთ.

V. მადნებისათვის სასმელი წყლის მიწოდების შესახებ.

VI. მდინარე ყვირილას შავიქვის ლექისაგან გაწმენდის შესახებ.

VII. ქიმიური ლაბორატორიის მოწყობის შესახებ ჭიათურაში.

VIII. ქუთაისში და ჭიათურაში შენობათა აგების შესახებ, საბჭოს საჭიროებისათვის და აგრეთვე საზოგადო ბაღის გაშენების შესახებ ჭიათურაში.

IX. სადგური ჭიათურისა და მთავარი გზების განათება.

X. მისავალი ლიანდაგის გაყვანა შავიქვის რაიონის ხეობებში.

XI. **სარკინისგზო საკითხები:** ა) საბჭოს მიერ ნებართვის აღების შესახებ, რომ ისარგებლოს ამიერკავკასიის რკინისგზის ტელეფონით. ბ) სამგზავრო ვაგონთა განათების გაუმჯობესება; გ) სადგური პუნკტის მოწყობის შესახებ პატარა ჭიქოურაში; დ) სად. შორაპნის გაფართოვების შესახებ; ე) მეორე გზის მოწყობის დაჩქარება სად. დარკვეთსა და ჭიათურას შუა; ვ) საცალფეხო გადასავალი ხიდის გაკეთების შესახებ ჭიათურაში; ზ) მოვირწყვლა და რიგიანათ შენახვა არსებული გზებისა სად. ჭიათურაზე; თ) განათება გზაჯვარედინებისა და საწყობებისა ჭიათურაში; ი) დაწესება სასადგურო ტარიფისა, როგორც მგზავრთა, აგრეთვე ყოველგვარ ბარგზე, გარდა შავიქვისა; კ) გადიდება პირდაპირ მავალ ვაგონებისა ფოთიდან—თფილისამდი, ფოთიდან—ქუთაისამდი, ქუთაისიდან—თფილისამდი, ბათომიდან—ქუთაისამდი და უკან; ლ) მატარებლების დგომის დროის შემცირება სადგურებზე; მ) სხვადასხვა საკითხი, რომელიც ეხება შავიქვის გადატანის გაუმჯობესებას.

XII. მოწესრიგება საკითხისა იმის შესახებ, რომ გამოსავალი წინა მაღაროებისა თავისუფალი იქნეს იმათ უკან მდებარე მაღაროებისათვის.

XIII. რათა გზები, რომელიც მაღაროების წინ მდებარეობს გადაიქცეს საზოგადოების საჭიროებისათვის და მიენიჭოს საბჭოს უფლება მათი განკარგულებისა შავიქვის მრეწველობის საჭიროებისათვის.

XIV. სახელმწიფო ბანკიდან წვრილ მრეწველთათვის სესხის მიცემის შესახებ.

XV. ლონისძიება, თუ როგორ გაინაღდოს საბჭომ უფლება სესხის აღებისა.

XVI. მოსამსახურეთა და მუშათა დაზღვევა.

XVII. ფოთის შავიქვის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობა.

XVIII. კრების წესდების იმ ნაწილის შეცვლა, რომელიც კრებაზე ხმების განაწილებას ეხება.

XIX. მოწვევა მეორე მოსიარულე აქიმისა.

XX. გადიდება საბჭოს მოსამსახურეთა შტატისა.

XXI. განხილვა და დამტკიცება 1914 წლის ხარჯთაღრიცხვისა.

XXII. არჩევა თანამდებობის პირთა.

# ქალაქის თეატრი.

**შაბათს, 16 ნოემბერს, სახალხო უნივერსიტეტის თეატრალური სექცია გა-მართავს სახალხო წარმოდგენას. წარმოდგენილ იქნება:**

# ცხოვრების გმირი

დრ. 3 მოქ. კარეევისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. მარტყოფელი, ბჟეკანელი, ნ—ის; ბ.ბ. დათიკო ჩარკვიანი, ნემო, ილ. ბახტაძე, გურული, კანდელაკი, გრიშა, ტყემელაშვილი და სხვა.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

რეჟისორი დ. ჩარკვიანი.

# ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო- სამკურნალო- სპეციალისტი ექიმებით.

# მუდმივი საწოლებით

## თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დ ი ლ ი თ.**

| | |
|---|---|
| გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საზებიო | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საზებ., ქალთა და შინაგ. | 12½ 2 |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის | 4½—5½ |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საზებიო, ქალთა და შინაგ. | 5½—6½ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძუძუს შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

**სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი.** წ.


# „უკმაყოფილოთა" ბანაკში.

კიევის მუნიციპალურ კრებაზე წახალისებულმა გუჩკოვმა „გასტროლები" სატახტო ქალაქში გადაიტანა. ახლახანს შემდგარ ოკტომბრისტთა კონფერენციაზე 17 ოკტომბრის პარტიის ლიდერმა „გრძნობით აღსავსე" სიტყვა წარმოსთქვა, იმდენათ გრძნობიარე იყო სიტყვა იგი, რომ შუბინსკისაც კი ცრემლები წასკდა და მემარჯვენე ოკტომბრისტებმა ხომ სასოწარმკვეთი ქვითინი მორთეს. ჯერ ნეტარხსენებული მანიფესტის მოგონება ხომ ისედაც „არაჩვეულებრივათ" მოქმედებს მათზე და რაღა იქნება, როდესაც მის მეზარეთა და ქირისუფლათ ალექსანდრე ივანეს ძე გუჩკოვი გამოდის, თავისი „მრავალმეტყველი" პოზებითა და „მრავალფეროვანი" სიტყვებით.

ჭეშმარიტათ, წელს ოკტომბრისტების წელიწადია. ცხრაას ხუთში ან ექვსში თუ „ჟიდების" პარტიები ქმნიდენ რევოლიუციას, დღეს „რევოლუციით" ოკტომბრისტები იმუქრებიან, მხოლოდ ხსენებული რევოლუცია პირველისგან მითი განსხვავდება, რომ ყოველივე ლეგალურათ იქნება მოწყობილი და ყველაფერი ოფიციალურ ჩარჩოებში იქნება გამომწყვდეული. „რეაქცია მატულობს, მძვინვარობს და უნდა გაუმკლავდეთო", სთქვა პარტიის ლიდერმა და იქვე მიუთითა მსმენელთ საშვალებაზედაც, რომლითაც რეაქციის მსვლელობა უნდა იქნეს შეჩერებული. გუჩკოვის სიტყვით, გაქრა, წავიდა სტოლიპინის დრო, როდესაც ოკტომბრისტები მთავრობასთან ხელიხელჩაკიდებული, ძმურათა და მეგობრულათ მოღვაწეობდენ უზარმაზარი რუსეთის „საბედნიეროთ" და შეთანხმებული, შეერთებული ძალით ქმნიდენ „სამშობლოს კეთილდღეობას". აბა, რეაქციის შესაჩერებლათ და ამოსაფხვრელათ რა იარაღი აჯობებს სტოლიპინის „ნაციონალიზმს" რომელმაც მოსპო და გაანადგურა რუსეთის ხალხის ყოველი კეთილი განზრახვა და კეთილი მისწრაფება? აი, რაგვარ „რევოლუციას" ქმნიან ოკტომბრისტები! მართალი გითხრათ, ამათთანა ახირებულ ხალხს ძლივს თუ შეხვდებით სხვაგან სადმე... ფარდას ამოფარებულ გაიძვერობასთანა და დახავსებულ ტრადიციებთან ერთად ამ „თანამედროვე რევოლუციონერებს" ბავშური გულუბრყვილობაც დასჩემებიათ, როდესაც თვით ტყუვდებიან სხვადასხვა დაპირებით, გონიათ სხვასაც მოატყუებენ და ამის შედეგია მათი ულოღიკობა და აზროვნების დაქსაქსვა, არა მთლიანობა. მაგალითად, ბ-ნი გუჩკოვი ზიზღით აღსავსე სიტყვებით იხსენიებს შავბნელ „რეაქციას", თანამოაზროვნეთ მის წინააღმდეგ საბრძოლათ მოუწოდებს, „რეჩების" ლეგიონთა თარაზმკას მოითხოვს და ამავე დროს ხაზს უსვამს სტოლიპინის დროს, სტოლიპინისებური ნაციონალიზმის ხანას და უკმაყოფილოა თანამედროვე მდგომარეობით; სრულიადაც არ ფარავს თავის სიმპატიებს სტოლიპინის რეჟიმისადმი. ნუთუ სტოლიპინი მართლა რეაქციის დაუძინებელი მტერი იყო, რომ „რევოლუციონერი" ოკტომბრისტები მის აჩრდილს ასეთი კრძალვით იხსენიებენ, ნუთუ იგიც შავბნელ რეაქციას ებრძოდა, რომ „თავისუფლების მოყვარე" 17 ოკტომბრის პარტიის ლიდერი ასეთი სიყვარულითა და პატივისცემითაა მისდამი გამსჭვალული, ნუთუ განსვენებული პრემიერი რეაქციის ტირანი იყო, რომ ჩვენი ოკტომბრისტები ბ-ნი როძიანკოს მეთაურობით მისი ძეგლის გახსნას დიდის ალტაცებით ეგებებიან და ესწრებიან? ჭეშმარიტათ, ულოღიკობა ამაზე ქვეით ბიჯს ვერ გასდგამს, ან, მართლაც, სტოლიპინი რევოლუციონერი ყოფილა, რომ „ოკტომბრისტ-რევოლუციონერთა" წრფელი სიყვარული დაუმსახურებია, ან და თვით ოკტომბრისტები ყოფილან რეაქციის პირმშონი? რასაკვირველია, პირველის „რევოლუციონერობაზე" ოცნება, უსაქმურთა საჩხირკედელაო საგანს შეადგენს, ბრიყვის მეტს ვის შეუძლია დაინახოს სტოლიპინის „ზოოლოგიურ ნაციონალიზმში" რეაქციასთან ბრძოლის ნიშნები, მაგრამ საქმე ეს კი არა, ის არის, რომ თვით გუჩკოვ-ოკტომბრისტები არიან მღვრიე წყლის რევოლუციონერები, იგინი არიან რეაქციონური ტენდენციებით გამსჭვალული. გძელ-გძელი ტირადები რეაქციის დასათრგუნათ და მრავალფეროვანი ხოტბა-შესხმანი რეაქციის დედაბურჯს, აი ოკტომბრისტთა ავლა დიდება აი მათი ფიზიონომია, მათი „რევოლუციონერობა". 17 ოკტომბრის მანიფესტიო, გაიძახიან ეს ბატონები, რუსეთის ხალხს ყურები გამოუყრუეს მანიფესტის დასამარების გამო წუწუნით და რამდენათ გულწრფელია მათი წუწუნი ეს ნათლათ გამოსჭვივის მათი „სტოლიპინის რეჟიმისდამი" სიმპატიებით, ეს ნათლათ გამოსჭვივის მათი კანონმდებლობითი შრომა-მოღვაწეობით. იგინი იმ დარგის ხალხს ეკუთნიან, რომელნიც ღუპვენ, სამარეს უთხრიან რუსეთის კეთილდღეობას, ნაციონალისტებთან ხელიხელჩაკიდებული მოღვაწეობენ და მასთან უარს არ ერიან და, პირიქით, ძალიანაც სწადიათ რუსეთის განმათავისუფლებელთა და გულწრფელ მესვეურთა „იერლიყს" ატარებდენ, მაგრამ მათს ნამდვილ სახეს უკვე კარგათ იცნობს რუსეთის ხალხი, და ასეთი მონადირენი არათუ ერთი ხელით ორ კურდღელს ვერ დაიჭერენ, რაცა აქვთ იმასაც დაკარგვენ, თუ კიდევ შერჩენიათ რამე. როძიანკო ტაშს უკრავს გუჩკოვს, როძიანკო კრძალვით თავს იხრის სტოლიპინის ძეგლის წინაშე, როძიანკო „რეაქციას" ებრძვის და იგივე როძიანკო უკრაინელთა თვითარსებობას ერთი სიტყვით სპობს.

მართლაც, რომ გულუბრყვილო „აფერაა", მაშ რა?!

**იმერი.**

# დ ღ ი უ რ ი.

რუსეთმა და გერმანიამ გადასწყვიტეს ბულგარეთის საქმეში არ ჩაერიონ.

— ბულგარეთის მეფე ფერდინანდი მისი ტახტიდან გადადგომის ხმებს უარყოფს.

— ინგლისელმა მზვერავებმა იკისრეს იუშჩინსკის მკვლელის მოძებნა.

— სახელმწიფო საბჭოს ცენტრის ჯგუფის თავჯდომარეთ მეილერ-ზაკომელსკი აირჩიეს, რომელმაც განაცხადა: 17 ოკტომბერის მანიფესტს დავიცავო.

— ადესის სასწავლო ოლქის მზრუნველმა საშვალო შკოლების უფროსთ მისწერა—ნუ მასცემთ [illegible] სამზადებლათ [illegible] იბარონო.

— მწერალმა დოროშევიჩმა იკისრა იუშჩინსკის მკვლელობის აღმოჩენა.

— გამოაქვეყნეს სრულიად ბეილისის საქმის განაჩენი. ამ საქმეზე სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯი ხაზინამ იკისრა.

—სახალხო განათლების საპენსიო კასის მოხელე მურატიევი ასი ათასი მანეთის გაფლანგვის გამო სამსახურიდან გადაიყვანეს და პასუხის გებაში მისცეს.

# სახელმწიფო სათათბირო.

**13 ნოემბრის სხდომა.**

(გაგძელება)

მორიგ საქმეთა შორის არის შინაურ საქმეთა მინისტრის მიმართ სწრაფი შეკითხვა მუშათა კრებების აკრძალვის გამო. ამ კრებებზე მუშებს უნდა მოელაპარაკათ დაზღვევის ახალი კანონის შესახებ. **ტულაიკოვი** შეკითხვის სისწრაფეს მხარს უჭერს. ორატორი აღნიშნავს აუცილებელ საჭიროებას იმისას, რომ მუშები გაცნობოდენ დაზღვევის ახალ კანონებს. ადმინისტრაცია სისტემატიურათ ხურავს მუშათა კრებებსო. ნება არ დართო აგრეთვე ადმინისტრაციამ დაზღვევის შესახებ ლექციის წაკითხვისა. ამგვარ აკრძალვას კრების თავისუფლების მოსპობის ხასიათი აქვსო. **იაგელლო** აცხადებს: მუშათა ამგვარ შევიწროებას ადგილი ქონდა პოლონეთში. შეკითხვის სისწრაფე, 91 ხმით წინააღმდეგ 81, უარყვეს. რიგი მიდგა ლენის ამბების შესახებ მოხსენების წაკითხვაზე. მომხსენებელი **დიუტი** ამბობს: ლენის ამბების შესახებ შეკითხვა ჯერ კიდევ მესამე სათათბირომ მიიღო. მთავრობამ წარმოადგინა თავისი განმარტება. შემდეგ დაინიშნა სენატორ მანუხინის რევიზია, ამ რევიზიამ საქმის ვითარება დაწვრილებით გამოიკვლია. მანუხინმა მოხსენებაც კი წარუდგინა. მიუხედავათ ყოველივე ამისა, არ არის გამორკვეული—მთავრობამ რა ღონისძიება მიიღო მანუხინის მოხსენებას შემდეგ. ამიტომ კომისია შინაურ საქმეთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს უდგენს შეკითხვას. მიიღეს ზომები და ლენის საქმეში დამნაშავე პირები მისცეს თუ არა სამართალში. **მანკოვი** ირკუტსკის გუბერნიის წარმომადგენელი, რომელიც კარგათ იცნობს ლენის მუშათა შრომის პირობებს, ამბობს, ლენის მუშათა მოთხოვნილებას არ შეიძლება ეწოდოს პოლიტიკური მოთხოვნილება. ეს მოთხოვნილება ეხებოდა მხოლოდ მათ ცხოვრებას, საჭმე-

# ე რ ო ვ ნ უ ლ ი  ს ა კ ი თ ხ ი

**2) ავსტრო-უნგრეთი.**

**უნგრეთი.**

ხორვატიისა და სლავონიის გამორიცხვით უნგრეთში იყო 1900 წ. 51,4% მადიარი, სულ 8,588,834 სული. არამადიარი იყო 8,132,740, მათ შორის სერბი და ხორვატი 2,739,749, გერმანელი 2,135,11%, სლოვაკი 1,980,423. სერბნი და ხორვატნი, რომელნიც ცხოვრობენ სამხრეთ კომიტატებში, შერეული არიან სხვა ერებთან. გერმანელები გაფანტული არიან მთელს უნგრეთში: დასავლეთ უნგრეთში ცხოვრობს 400,000 გერმანელი, ჩრდილოეთ ნაწილში 87,343, ტრანსილვანიაში 200,000. სლოვაკები ცხოვრობენ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

ავსტრო-უნგრეთის კონსტიტუცია ნებას აძლევს თითოეულ ერს თავისუფლათ განავითაროს თავისი ეროვნული კულტურა, მაგრამ მადიარები სასაცილოთ იგდებენ კონსტიტუციის ამ მუხლს.

აქ სერბნი უკეთეს მდგომარეობაში არიან, რადგან აქვთ საეკლესიო ავტონომია და ამის გამო შკოლები დედაენაზე. აქაურს ხორვატულ შკოლებში კი მადიარულ ენაზე ასწავლიან.

სლოვაკები, როგორცა ვსთქვით, ცხოვრობენ უნგრეთის ჩრდილო-დასავლეთით მდინარე მორავიდან ქალაქ უნგვარამდი (უჟგოროდ). მათი ქვეყანა, ანუ სლოვაჩინა, შესდგება 16 კომიტატისაგან. 11 კომიტატში სლოვაკები შეადგენენ მცხოვრებთა დიდ უმეტესობას (1,835,932) დასავლეთით ემეზობლებიან მათ მათი მონათესავე ჩეხები მორავიისა, აღმოსავლეთით რუსინები, ჩრდილოეთით პოლონელნი. 1838 წ. მათ მოითხოვეს ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომია და, რადგან მადიარებმა ძალა იხმარეს, აჯანყდენ, მაგრამ რეაქციამ დალუპა მათი საქმე. 1861 წელს მათ მოითხოვეს ოლქობრივ—ეროვნული თვითმართველობა და სხვადასხვა გამათანასწორებელი უფლება. მაგრამ უნგრეთის რეიხსტაგმა მათ მოთხოვნას დუმილით უპასუხა.

შემდეგ მადიარებმა მოიპოვეს „დამოუკიდებლობის კონსტიტუცია" და სლოვაჩინა სხვერპლათ შეეწირა უნგრეთ-ავსტრიის შერიგებას. და სლოვაკებმა მიყვეს ხელი კულტურულ მუშაობას. მათმა საზოგადოებამ „მატიცამ", დაარსებულმა 1861 წ. და დადასტურებულმა მთავრობის მიერ 1863 წელს, ხელი შეუწყო ლიტერატურის განვითარებას. დააარსეს აგრეთვე კერძო საშვალო სასწავლებელნი სლოვაკურ ენაზე. მაგრამ 1874-1875 წ. უნგრეთის მთავრობამ დაკეტა ეს კულტურული დაწესებულებანი. 1875 წელს დაიკეტა „მატიცა"—და მისი ქონება მიითვისა სახელმწიფომ. და მას შემდეგ შევიწროება თანდათან გაძლიერდა.

შკოლაში აკრძალულია სლოვაკურათ ლაპარაკი, სლოვაკური სახელმძღვანელოები და სხ. და უნგრეთის მთავრობა და მადიართა საზოგადოება ერთად მოქმედებენ ამ სასტიკი ეროვნული დევნისა და შევიწროების ნიადაგზე.

მაგრამ მათი ცდა ამაო იყო. სლოვაკები არ გამადიარდენ და ეროვნულმა იდეამ ღრმათ გაიდგა ფესვები მათ შორის.

ამასთანავე ამერიკაში გადახვეწილი რამდენიმე ასი ათასი სლოვაკი ძლიერ ეხმარება უხვი შემოწირულებით ამ ერის ეროვნულ-კულტურულ განვითარებას.

და; ცხადია, სლოვაკებიც აასრულებენ ბოლოს თავის ეროვნულ-პოლიტიკურ იდეალსო, რადგან მათი გამოყოფა ადვილია: აქვთ საკუთარი ტერიტორია.

მაშასადამე, უნგრეთში ასე უნდა გადასწყდეს ეროვნული საკითხი: სამხრეთი კომიტატები, სადაც მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენენ ხორვატნი და სერბნი, ან ხორვატიას (კროაციას) და სლოვანიას უნდა შეუერთდენ, ან ცალკე უნდა იქნენ გამოყოფილი, ან და უნდა იქნეს ასრულებული მათი ეროვნული მოთხოვნილებანი, ე. ი. უნდა ქონდესთ ეროვნული საერობო და საქალაქო თვითმართველობანი, შკოლები, საკუთარი მოხელენი და სხ.

სლოვაჩინას უნდა მიენიჭოს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია.

რაც შეეხება გერმანელებს, ისინი ერთ დროს გამადიარდენ. და ეს საკვირველი მოვლენა აიხსნება იმით, რომ ისინი აქ გაფანტული არიან. მაგრამ ბოლოს მათ შორისაც დაიბადა ეროვნული მოძრაობა, მათაც მოითხოვეს თავისთვის გერმანული შკოლები და სხ. და ეს ფაქტი ორ რასმე გვეუბნება: ისეთი კულტურულათ დაწინაურებული ერიც კი, როგორც გერმანელები, შეიძლება გადაგვარდენ, როდესაც ტერიტორია არ აქვთ, და, მეორე, ეროვნული მოძრაობა იმიტომ დაიბადა მათ შორის, რომ მათ ასაზრდოებს კულტურა და განათლება მოწინავე გერმანელებისა ისე, როგორც მაგალითად, გადახვეწილ ქართველებს ასაზრდოებს ამ მხრით საქართველო. და განა, საქართველო რომ აღარ იყოს,—როგორც „ნარიძე" ამბობს,—მოსკოველი ქართველი აღიარებდა თავს ქართველათ?!

და, რომ გაფანტვა, გაბნევა ერისა არ უწყობს ხელს ეროვნული კულტურის განვითარებას, ამას ცხადათ მოწმობს ავსტრიის ებრაელთა მაგალითი. ისინი გაფანტული არიან სხვადასხვა ქალაქში და უმეტეს ნაწილათ ვაჭრობენ. და ამიტომ ისე გადაგვარებულია მათი ეროვნული კულტურა, რომ არცერთი მათი ეროვნული პარტია, არც ბურჟუაზიული, არც პროლეტარული, არ მოითხოვს ებრაულ ენაზე სწავლების უფლებას შკოლებში, თუმცა მათს ახალ ენაზე უკვე საკმაოთ მდიდარი ლიტერატურაა.

და, ცხადია, რომ ტერიტორია ქონოდათ, მათაც უკეთ ექნებოდათ შეგნებული მათი უფლება და ცენტრალური მთავრობაც იძულებული იქნებოდა გაეწია მათთვის ანგარიში. [illegible]გან მათი რიცხვი ავსტრიაში 1900 წელს ერთ მილიონსა და ორასი ათას კაცს აღემატებოდა. (იხ. ხსენებულ კრებულში წერილი მატიას ახერისა: „ებრაელები").

აქიდან ჩანს, რამდენათ ყალბია „ნარიძის" აზრი, ვითომ მიწასთან კავშირის გაწყვეტა ქმნიდეს უმაღლეს ეროვნულ კულტურას! ავსტრო-უნგრეთის პოლიტიკას აწარმოებენ უმთავრესათ გერმანელები.

ავსტრია წარმოიშვა 1526 წელს ათი სამთავროსაგან, სადაც მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენდენ გერმანელები. ბოჰემიის სამეფო მიწები, გალიცია და უნგრეთი შემდეგ შეიერთა. ამიტომ გერმანელები ბატონებათ აღიარებენ თავს. ეს არის უმთავრესი მიზეზი ბრძოლისა ავსტრო-უნ-გრეთის ერთა შორის. აქიდან იბადებ აგერმანელთა მიზიდულობა პოლიტიკური ცენტრალიზაციისადმი.

მაგრამ ეს ბიუროკრატიულ-პოლიტიკური თვალსაზრისი თანდათან უთმობს ადგილს სხვა პოლიტიკურ პრინციპს.

ჩეხიაში გერმანელები ავტონომიურ პრინციპს იცავენ, ე. ი. მოითხოვენ თავისთვის ავტონომიას, მორავიაში უკვე შეთანხმდენ ჩეხებთან, ჩეხებსა და პოლონელთ ბევრი რამე დაუთმეს, უნგრეთის თის დამოუკიდებლობა აღიარეს, ბევრგან გაიმართა ეროვნული სახალხო შკოლები, საშვალო სასწავლებელნი და უნივერსიტეტები. ყველგან განვითარდა ეროვნული ლიტერატურა და კულტურა. და ეროვნული მოძრაობა ისე ძლიერია, რომ ჩრდილავს სოციალურ ბრძოლას. ცხადია, სოციალურ ბრძოლასაც აქვს ადგილი, მაგრამ მჭიდროთ არის გადახლართული და შეკავშირებული ეროვნულ საკითხთან.

აღსანიშნავია, რომ თითოეულ ერს ყავს თავისი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც აწარმოებს უმთავრესად ეროვნულ პოლიტიკას. სოციალდემოკრატებმა მხოლოდ უკანასკნელ დროს ათხოვეს ყური ამ საკითხს, მაგრამ ისინი მოქმედებენ ამ ნიადაგზე, არა როგორც მარტო სოციალდემოკრატები, არამედ იმავე დროს როგორც დემოკრატები, როგორც ამბობს შპრინგერი. მაშასადამე, დემოკრატიულ-ეროვნული პროგრამა ერთია მუშათათვის და დემოკრატიული ბურჟუაზიისათვის, სოციალისტებისთვის და ნაციონალ-დემოკრატებისთვის. ამგვარად ბ. „ნარიძის" აზრს (?), ვითომ ეროვნული საკითხის გადაწყვეტა არ შეუძლიათ ბურჟუაზიულ პარტიებსო, უარყოფს თვით მისი ავტორიტეტი შპრინგერი. აი მისი სიტყვები: ბრიუნის პარტეიტაგის (1899 წ.) დადგენილება ეროვნული საკითხის შესახებ „აღიარეს მუშებმა არა როგორც სოციალდემოკრატებმა, არამედ, როგორც მუშებმა და მოქალაქეებმა. და როდესაც მთელი ხალხი იტყვის თავის აზრს, იტყვის უთუოდ ამასვე... ავსტრიაში მოიპოვებს ძალასა და მნიშვნელობას მხოლოდ პოლიტიკური დემოკრატია" (იხ. მისი „ეროვნული პრობლემაა", რუსული თარგმანი, გამოც. 1909 წ. გვერდი 287).

სოციალისტებს, მართალია, შეაქვთ შესწორება ნაციონალ-დემოკრატების პროგრამაში. ეს უკანასკნელნი აღიარებენ, მაგალითად, ისტორიულს სახელმწიფოებრივ უფლებას, სოციალდემოკრატები კი ამბობენ: სახელმწიფოს ავტონომიებათ დანაწილების დროს უნდა

ლი სურსათისა და ბინის გაუმჯობესებას და შრომის ფასის პირნათლათ მიცემასო. გამწევსკი პირველი აცხადებს: მემარჯვენეები თანახმა არიან შეკითხვის წარდგენისა, თუმცა ლენის ამბებში უმთავრეს დამნაშავეთ სთვლიან ლენის საზოგადოების გამგეობას, რომელსაც სათავეში ებრაელები ყავს. მემარჯვენეებს შეკითხვის სამხედრო მინისტრის წინაშე წარდგენა უსაფუძვლოთ მიაჩნიათ. სამხედრო უწყებამ მხოლოდ თავის მოვალეობა ასრულა და ამ მხრით მემარჯვენეებს შეკითხვაში შესწორება შეაქვთ. ვიშნევსკის შესწორებას, 151 ხმით წინაალმდეგ 100 ხმისა, ღებულობენ. შეკითხვას ვაჭრობა-მრეწველობისა და შინაურ საქმეთა მინისტრის მიმართ ერთხმათ ღებულობენ.

შემდეგი სხდომა პარასკევს.

# ახალი ამბავი.

დღეს, 16 ნოემბერს თფილისს მიემგზავრება კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა მეორე კრებაზე დასასწრებათ ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი და სასანიტარო აქიმი ვ. მ. ლორთქიფანიძე. ბ. ჩიქოვანი მოხსენებას წაიკითხავს საავათმყოფოსა, ხოლო აქ. ლორთქიფანიძე ქალ. სანიტარული მდგომარეობის შესახებ.

✦ 15 ნოემბრიდან ქალ. საფინანსო კომისია მომავალი 1914 წ. სავარაუდო შემოსავალ-გასავლის განხილვას შეუდგა.

✦ დღეს მოხდება გუბერნიის სასანიტარო ამასრულებელი კომისიის სხდომა, რომელმაც უნდა გამონახოს ღონისძიება ხოლერასთან და სხვა გადამდებ სენთან საბრძოლათ.

✦ გუშინ დილით თავის საკუთარ ბინაზე თავი ჩამოიხრჩო ტეხნიკოსმა დავით წულეისკირმა. განსვენებულს ქუთაისში იცნობენ, როგორც ძალიან მარჯვე და პირიან კაცს. ამ უკანასკნელ ხანებში, ამბობენ, ვალებში გაიხლართა და ამან დაღუპა კიდეცო. დილით ოჯახობა გაისტუმრა თურმე ბინიდან და საცოდავმა თავი გაიწირა.

✦ პარიზში დააპატიმრებიათ ვილაც ქურქია, რომელსაც შვიდასი ათასი ფრანკის გაფლანგვა ბრალდებათ. ქურქია (თურქია, თუ ქორქია?) ცნობილი იყო პარიზში მაღალ წრეში ბანკის მოთამაშეთ. ამ ბანკში დიდი ფული წაუგია და ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასეულობით მოვაჭრეთაგან გამოუტანია ნივთები სამი დღის ვადით, დაუგირავებია და აღებული ფულიც ბანკში წაუგია.

✦ მეფის მოადგილეს შავიქვის მორიგ მე-16 კრებაზე წარმომადგენელთ დაუნიშნავს თ. მაჩაბელი.

✦ რუსეთის იალქნიანი გემებით ოკტომბერში ბათომიდან საზღვარგარეთ გაიზიდა 4 ათასი ფუთი ნავთი და 1335 ფუთი სხვადასხვა საქონელი. ოსმალეთში გაიტანეს 42,705 ფუთი ნავთი და 6720 ფუთი სხვადასხვა საქონელი.

✦ კავკასიის მეფის მოადგილემ აღძრა შუამდგომლობა, რომ საკანონმდებლო წესით შეცვლილ იქნას კანონი და იქ, სადაც 1892 წლის საქალაქო დებულება არ არის შემოღებული, სამი წლის ვადით არჩეული მოსამსახურე პირები ერთ წელს კიდევ დარჩენ.

✦ სათათბიროს სოციალდემოკრატიული ფრაქცია კავკასიის მეფის მოადგილეს შეეკითხა: ეცნობა თუ არა მას, რომ ბაქოს ციხეში პოლიტიკური ტუსაღები, რომელთაც შიმშილი გამოაცხადეს, ცალკე კამერაში მოათავსეს და წყლის მიცემა მოუსპეს?

✦ ხუთშაბათს სალიტერატურო საღამოზე ცოტა ხალხი დაესწრო. ხალხი, ცხადია, სიცივემ დააფრთხო, რადგან იმედი არ ქონდათ, რო ჩვენს თეატრში გაცივებისაგან უზრუნველ ყოფილი დარჩებოდენ. და მართლაც, თეატრში ყინავდა. საღამო კი შინაარსიანი იყო. ყველა მონაწილემ საგულისხმო რამ წაიკითხა და საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩა.

✦ ცნობილს რუს მწერალს ვ. დოროშევიჩს გადაუწყვეტია გამოიძიოს იუშჩინსკის მკვლელობის საქმე. ის ამ მიზნით ამ მოკლე ხანში კიევს წავა და საქმის გამოძიებას შეუდგება. დოროშევიჩმა გამოარკვია რაპოპორტის უდანაშაულობა, რომელიც ეკატერინოსლავის გუბერნატორის მკვლელობის ბრალდების გამო სიკვდილით დასაჯეს.

✦ ზუგდიდში უნდა ეფრინა ავიატორ ქებურიას, მაგრამ ახალ-სენაკში აეროპლანის დაზიანების გამო ფრენა სხვა დროისთვის გადაიდვა.

✦ ანაკლიიდან გასული იალქნიანი გემი, რომელიც დატვირთული იყო ტყის მასალით 8 ნოემბერს ზღვამ იმსხვერპლა. გატეხილი გემი ზღვას ქობულეთის მახლობლათ გაურიყავს.

# სად აშენდეს პოლიტეხნიკუმი?

ამ საჭირბოროტო საკითხის შესახებ საუწყებათაშორისო კომისიამ, რომელსაც მეფის მოადგილისაგან დავალებული აქვს პოლიტეხნიკუმისათვის ადგილის, ნავთლუღისა და საბურთალოს, მიწების ღირსება-ნაკლის გამორკვევა, უკვე შეაგროვა დაწვრილებითი მასალები მცირე კომისიების შემწეობით. შეგროვილ მასალათა განსახილველათ კომისიის კრება 13 ნოემბერს დაიწყო მეფის მოადგილის საბჭოს წევრის მ. პ. გაკელის თავჯდომარეობით. კრებას დაესწრო 22 წევრი კომისიისა. კომისიამ ამ დღეს მოისმინა მრავალი მოხსენება, რომელიც შეეხებოდა საბურთალოსა და ნავთლუღის მიწების ღირსება-ნაკლს სასოფლო-სამეურნეო, ავისა, რკინის გზის სიახლოვისა და მიწის თვისების მიხედვით. თითოეულ საკითხზე კომისიამ რეზოლუცია ცალცალკე გამოქონდა. კრებაზე ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საბურთალო თფილისის ნაწილს არ შეადგენს და ეკუთნის თფილისის მაზრასო. ტფ. გუბერნ. თ.-აზნაურთა წინამძღოლმა თ. კ. ნ. აბხაზმა ამაზე უპასუხა, საქმისთვის სრულიად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ამ გარემოებასაო. თ-დ კ. ნ. აბხაზის აზრს კრება ერთხმათ დაეთანხმა. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნ. ფ. რუდოლფმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია პოლიტეხნიკუმის განყოფილებანი ზოგი ნავთლუღში აშენდეს, ზოგიც საბურთალოშიო. ეს მოსაზრება კრებამ დიდის ხმის უმეტესობით უარყო. კერძოთ სასოფლოს-ამეურნეო განყოფილების შესახებ გამოითქვა აზრი, რომ მისი აშენება ყოვლად შეუძლებელია ნავთლუღში, სადაც რკინის გზის სახელოსნოები, საგაზო ქარხანა და სასალახო ამ განყოფილებისთვის დიდათ დამაბრკოლებელ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს. ეს აზრი მხოლოდ კომისიის ოთხმა წევრმა არ გაიზიარა. კომისიამ ყველა ზემოჩამოთვლილი საკითხის განხილვის დროს დიდი უმრავლესობით უპირატესობა მისცა საბურთალოს. ნავთლუღის მომხრენი იყვენ მხოლოდ თფ. ქალაქის მოურავის მოადგილე თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, თფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანი თ-დი გ. მ. თუმანოვი, ბაქოს ქალაქის მოურავი ლ. ლ. ბიჩი და ერთი ორიც სხვა. ლოტკას გორის შესახებ კრებაზე ლაპარაკი სრულიად არა ყოფილა. საფინანსო მოხსენების განხილვა კომისიამ ამ დღეს ვერ მოასწრო და მეორე დღისთვის გადასდვა. თ-დი გ. მ. თუმანოვი კრების დასასრულს მაინც შეეხო საფინანსო მხარეს და აღნიშნა, უპირატესობა ნავთლუღს აქვსო, მაგრამ თავჯდომარემ შეაჩერა იგი, თუ რამე იცი, მაშინ სთქვი, როცა საფინანსო მოხსენების განხილვას შევუდგებითო. გუშინ, 15 ნოემბერს, კომისია საფინანსო მოხსენების განხილვას შეუდგა.

(ს. გ.)

---

დაედვას საფუძვლათ უმთავრესად ეთნოგრაფიული პრინციპი. მაგრამ ეს შესწორება არ უარყოფს ნაციონალ-დემოკრატიის პრინციპს.

მაშასადამე, ეროვნულ საკითხში სოციალისტები და ნაციონალ-დემოკრატები ერთად უნდა იყვენ. ორივე უნდა უარყოფდეს ერთი ერის მიერ მეორე ერის ჩაგვრას და უნდა აღიარებდეს ერთა თანასწორობას. აქ სოციალისტიც და ნაციონალდემოკრატიც ინტერნაციონალისტია. და შეუძლებელია, ნაციონალისტი იყოს დემოკრატი, თუ იმავე დროს ინტერნაციონალისტი არ არის.

ნაციონალიზმი სხვადასხვაა. არის მაგალითად, შავრაზმული ნაციონალიზმი, რომელიც აღიარებს ძლიერი ერის ბატონობას სუსტ ერებზე. ამ ნაციონალიზმს კი, რასაკვირველია, არაფერი აქვს საერთო ინტერნაციონალიზმთან.

ზევით ვსთქვით, რომ ნაციონალურს, ან ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებენ უმთავრესად ნაციონალდემოკრატები მეთქი. და ავსტრიის სოციალდემოკრატები შეიძლება არც კი ათხოვებდენ ყურს ეროვნულ საკითხს, რომ ნაციონალდემოკრატიას არ მოემზადებია ამისთვის ნიადაგი.

მაშასადამე, ნაციონალდემოკრატიის მოღვაწეობამ დაბადა ინტერნაციონალური მოძრაობა. მათ მიერ ჩაგრული ერების ინტერესების დაცვამ დააყენა გადასაჭრელათ ეროვნული საკითხი. და ვინც უარყოფს მათ ღვაწლს ამ ნიადაგზე, ის უარყოფს საერთაშორისო ძმობისა და ერთობის, ან ინტერნაციონალიზმის, იდესა.

ამგვარად შპრინგერის აზრით ეროვნული საკითხის გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ მთელ დემოკრატიას, ე. ი. გლეხობას, დემოკრატიულ ბურჟუაზიას, ინტელიგენციასა და პროლეტარიატს. „ნარიძის“ ფიქრით კი ეს მარტო პროლეტარიატის საქმეა და ერის უდიდესი ნაწილი, ე. ი. დემოკრატიული ბურჟუაზია და გლეხობა მტერია ერთა თანასწორობისა!

ამიტომ შპრინგერი ფიქრობს, რომ ეროვნული საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია ბურჟუაზიულ წესწყობილებაშიც. ბ. „ნარიძე“ და „მედემი“ კი ფიქრობენ, რომ ამ საკითხის გადაჭრა არ შეიძლება, ვიდრე არ გადაწყდება სოციალური საკითხიო. მაშასადამე, მათ, როგორც აქიდან ჩანს, ხელი აიღეს ეროვნული საკითხის გადაწყვეტაზე. და იმგვარი პროგრამა, როგორსაც სთხზავს ბ. „ნარიძე“, ხომ, რასაკვირველია, მოკლებულია ყოველ ღირსებას.

მაგრამ რას წარმოადგენს ბრიუნის პარტეიტაგის დადგენილება? 1899 წ. მორავიის ქალაქ ბრიუნში შეიკრიბენ ავსტრიის სხვადასხვა ეროვნული სოციალდემოკრატიის წარმომადგენელნი და დაადგინეს: 1) ავსტრია უნდა გარდაიქმნეს მის შემადგენელ ერთა საკავშირო სახელმწიფოთ. 2) ისტორიულ სამეფოთა ნაცვლათ უნდა იყოს ეროვნულათ განსაზღვრული თვითმართველი ერთეულები, რომელთა შორისაც თითოეულს უნდა ქონდეს თავისი საკუთარი კანონმდებლობა და მართველობა. 3) თვითმართველი ოლქები თითოეული ერისა წარმოადგენენ ეროვნულ კავშირს, რომლის ხელშიც იქნება ეროვნულ-კულტურული საქმეები. 4) უფლება ეროვნული უმცირესობისა უზრუნველყოფილია საიმპერიო პარლამენტის მიერ.

აქ, როგორც ხედავს მკითხველი, ორივე მხარემ დაუთმო ერთმანეთს. ეროვნულ-კულტურული ავტონომიის მომხრეები დასთანხმდენ, რომ თითოეულ ერს უნდა ქონდეს საკუთარ ტერიტორიაზე თავისი პარლამენტი, ე. ი. მათ აღიარეს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია. მეორე მხრით ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიის აღმსარებელთაც აღიარეს ექსტერიტორიალური ანუ მიწას გარეშე არსებული ეროვნულ-კულტურული კავშირი.

ეს მეორე გვარი ავტონომია, როგორც ზევითა ვსთქვით, განუხორციელებელი უტოპიაა. ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია კი, რომელიც ბრიუნის სოციალ-დემოკრატიულმა კონგრესმა აღიარა, აუცილებელია, რადგან უმისოთ ვერ გადასწყდება ვერც ეროვნული საკითხი და ვერც სოციალური.

აქ უნდა აღვნიშნო სხვათა შორის, რომ ბრიუნის პარტეიტაგის დადგენილება ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას ანიჭებს, როგორც ადმინისტრაციულს, აგრეთვე საკანონმდებლო უფლებას. ბ. „ნარიძე“ კი აღიარებს მარტო ადმინისტრაციულსა და გადაჭრით უარყოფს კანონმდებელ ავტონომიას. და, ასე გასინჯეთ, მის მიერ შეთხზულს უტოპიურს ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას სწავლის მეთოდის გადაწყვეტის უფლებასაც კი არ აძლევს.

ამგვარად ჩვენი მარქსისტი (?) „ნარიძე“ ეწინააღმდეგება ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული კონგრესის დადგენილებას, იმ კონგრესისა, რომელსაც დაესწრენ საუკეთესო წარმომადგენელნი ავსტრიის სოციალ-დემოკრატიისა: ადლერი, პერნერსტორფერი, დაშინსკი და სხ. და მას შეუძლებლათ არ მიაჩნია ავსტრიის დანაწილება ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიებათ, თუმცა ამას შესაძლებლათ სცნობენ იქაური სოციალ-დემოკრატები, რომელნიც, ცხადია, ბ. „ნარიძეზე“ უკეთ იცნობენ ავსტრიას (იხ. წერილი პერნერსტორფერისა ხსენებულ კრებულში).

და, მართლაც, როგორც ზევით დაინახავდა მკითხველი, შეიძლება თითქმის მთელი ავსტრია დანაწილდეს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიებათ: ცოტა-ღა დარჩება შერეული ოლქი.

**ნესტარი.**

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა.

(პეტ. დეპ. სააგ).

### რ უ ს ე თ ი.

**პეტერბურგი.** ხალხის ჯანმთელობის კომისიამ მოიწონა კანონპროექტი პეტერბურგში ალკოჰოლის წინაალმდეგ კლინიკური ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

ბიუჯეტის კომისია 1914 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვას შეუდგა. მოისმინეს მოხსენება ფინანსის მინისტრის ხარჯთაღრიცხვის შესახებ. წაიკითხეს აგრეთვე ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ხარჯთაღრიცხვაზე მოხსენება. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა განაცხადა —უწყების კომისია წინადადებას გვაძლევს, რომ მონგოლეთთან დამოკიდებულობა გავაუმჯობესოთო. მიიღეს წინადადება ურგაში რუსულ-მონგოლურ შკოლის დაარსების შესახებ.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ შეიმუშავა ახალი წესი კერძო სამრეწველოებში მუშების მიღებისა.

### უ ც ხ ო ე თ ი.

**ვენა.** ოფიციოზებმა ბულგარეთის ხელშეკრულობის საიდუმლოება გამოაქვეყნეს. ბულგარეთს ბალკანეთის კავშირისათვის ხელის შეშლა მოუნდომებია, „ცაიტი“ სწერს: ბალკანეთის კავშირი პირდაპირ შეთქმულება იყო ავსტრიის წინაალმდეგო.

ავსტრიის დელეგაციის სამხედრო კომისიაში გრომაიერმა სთქვა: მიუხედავათ ევროპის სახელმწიფოთა შეიარაღებისა, თუ შესაძლებელი გახდა ბალკანეთის ომის მოსპობა, ეს მიეწერება მხოლოდ სამი სახელმწიფოს კავშირს. ომის შიში არ გაქრება, თუ სამხრეთ სლავიანთა საკითხი ავსტრიის სასარგებლოთ არ გადასწყდებაო.

**ტოკიო.** რუსეთის ელჩმა რუს ექსკურსანტთა ხელშემწყობ საზოგადოებას რუსი ექსკურსანტების ხელმძღვანელობისათვის მადლობა გადაუხადა.

**ბელგრადი.** გუშინ მეფე პეტრემ მიიღო რუმინიის დელეგაცია.

**ბერლინი.** რაიხსტაგში ჯაშუშობის შესახებ პროექტის პირველი კითხვა დაიწყო. მთავრობა თხოულობს ჯაშუშობისათვის სასჯელის გაძლიერებას.

**კრაკოვი.** დასავლეთ გალიციის პოლონელთა შევარდნების კონგრესმა დაადგინა: ორგანიზაციას სამხედრო ხასიათი ჩამოაცილოს და გამართოს ნაციონალური ხასიათის ვარჯიში.

**ვენა.** მეფე ფერდინანდმა ერთი გაზეთის კორესპონდენტს ინტერვიუს დროს უთხრა: მიკვირს, როგორ, რა წყაროებიდან გავრცელდა ჩემი ტახტიდან გადადგომის ხმა. წინაპართა საფლავის ნახვას შემდეგ სოფიას მივდივარ. არა მჯერა, რომ ბულგარეთში ანტიდინასტიურ მოძრაობას ქონდეს ადგილი, ჩვეულებრივ სადარბაზოთ ვიყავი ფრანცი იოსებთან და ბერხტჰოლდთან. ტახტის მემკვიდრე ბორისი ბულგარეთიდან მატყობინებს, რომ ყველაფერი მშვიდობიანათაა.

კრამარჟას სიტყვის გამო „ნოიე-ფრაიე-პრესე“ სწერს: კრამარჟა რუსეთის სლავიანებზე უფრო მეტი სლავიანელია. რუსეთში გაისმის ხმა სლავიანთა სისუსტის შესახებ და რუსეთსა და ავსტრო-უნგრეთს შორის მეგობრული დამოკიდებულების საჭიროების შესახებ. კრამარჟს არ დაუკარგავს იმედი სლავიანთა ხალხის გაერთიანებისა. მისი აზრით, ეს გაერთიანება მონარქიის უდიდესი მტერი შეიქნება.

**სოფია.** ნაციონალისტურ ორგანოებში მეფის ტახტიდან გადადგომის ცნობას უარყოფენ. ხსენებული გაზეთები აღნიშვნენ, რომ ამ ხმას ავრცელებენ ის პირები, ვინც ბულგარეთს უბედურება მოუვლინა.

**მექსიკო.** რესპუბლიკის პრეზიდენტათ გლიცი დანიშნეს.

**ათენა.** ხანგრძლივ მსჯელობას შემდეგ, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდენ ყველა პარტიის წარმომადგენელი, ვენიზელოსის სიტყვას შემდეგ, მიიღეს მშვიდობიანი ხელშეკრულობის ყველა მუხლი.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატაში პრესის კანონპროექტს იღებენ.

**ვენა.** მეფე ფერდინანდი 15 ნოემბრს სოფიას [illegible]

**ბელგრადი.** [illegible] ისპო.

**ლონდონი.** გაზეთები სამხრეთ ირლანდიელთან პროტესტს აქვეყნებენ. პროტესტს აცხადებენ ჰომრულის წინაალმდეგ პროტესტს ხელს აწერენ. სავაჭრო ფირმები, რკინის გზის წარმომადგენლები და სხვა. პროტესტში აღნიშნულია—ჰომრული თუ პარლამენტმა მიიღო, ირლანდიის ვაჭრობა—მრეწველობას დაამხობსო.

# ანტონ ფურცელაძე.

(მოგონება).

მატარებელი სწრაფათ მიმაქანებდა ქართლის მიდვრებზე. პირველათ ვმზერდი ამ ტურფა ბუნებას, ვრცელ ხოდაბუნებს ქორფა ჯეჯილით მობიბინარეს, ციხე-კოშკებით შემკულ მწვანე გორაკებსა და იქ, შორს სპეტაკი თოვლით მოსილს კავკასიონის მაღალ მთებს. გულს ავსებდა ნეტარებით ეს მშვენიერი სანახაობა. შევტრფოდი ამ საოცნებო სურათებს და რაღაც სიამაყე ავსებდა ჩემს არსებას. ოცნება განშორებოდა შავბნელ სინამდვილეს, უნებლიეთ მიქროდა შორს წარსულ საუკუნეთა სფეროში, იქ, როცა ქართველი იყო ლაღი და თავისუფალი და გარს ევლებოდა დიდებულ დავითს, ბრწყინვალე თამარს, უკვდავ გენიოსს შოთა რუსთველსა და გმირთა-გმირს გიორგი სააკაძეს...

ჩემს თვალწინ აიმართა უზარმაზარი ციხე გორიზათ მდგარი მაღლა გორაკზე; ცოტა ხანიც და გაჩერდა მატარებელი. ეს იყო გორი.

ვილაც მოხუცი ევროპიულათ ჩაცმული შემოვიდა კუპეში და დაიკავა ადგილი ჩემს პირდაპირ. მომეწონა მისი გამომეტყველი სახე, ფართო შუბლი და ენერგიით სავსე თვალები. ცოტა ხანიც და ჩვენც გავაბით საუბარი. მოხუცი ჭაბუკური გატაცებით მეკამათებოდა საქართველოს აწმყო-წარსულზე, ჩვენსა და უცხოეთის მწერლობაზე, რუსეთ-ევროპისა და აზია-ამერიკის ყოფა-ცხოვრებაზე. ჩვენი ცხარე კამათი გადადიოდა ერთი საგნიდან მეორეზე. აღტაცებაში მოვყავდი მის მსჯელობას, ფხიზელ შეხედულებას და ერუდიციას. უნებლიეთ შემიყვარდა ეს ჭაბუკი-მოხუცი, მისი კამათის მხურვალე, გატაცებული კილო, მისი თამაში და ზოგიერთ შემთხვევაში უკიდურესი აზრები. მსურდა გამეგო მისი ვინაობა, მაგრამ ამ ცხარე ბაასის დროს ვერ ვუბედავდი კითხვას.

მატარებელი კი მიქროდა... აჰა, მცხეთაც, „სავანე გმირთა, დიდი აკლდამა, დიდი „ცხოვრების“!. აჰა, ავჭალა თავისი აგარაკებით! ბოლოს დავინახე თფილისიც თავისი დიდებით, მუშტაიდით, მამადავითით, თფილისი, რომელიც მრავალჯერ შეღებილა ქართველის სისხლით, რომლის გულშიც მარხია ისტორია ივერიისა...

აქ შევსწყვიტეთ კამათი. გამოსალმების დროს გავეცანით ერთმანეთს. ანტონ ფურცელაძე ვარო, მითხრა მოხუცმა ღიმილით, ქართული გულახდილობით მიმიპატიჟა შინ და მომცა ადრესი. ამიტაცა სიხარულმა. გავეცანი ქართველ მწერალს და მოღვაწეს, გავეცანი „მაცივრისას“, „თამარ ლაზნელისა“ და „დიდი მოურავის“ ავტორს. მიხაროდა ეს მოულოდნელი გაცნობა.

მეორე დღეს მივედი ანტონთან პანასევის ქუჩაზე; იქ გავიცანი მისი ცოლ-შვილი; იქვე გავიცანი ჩვენი სახელოვანი მოღვაწენი: ურბნელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე და ჩვენი დიდი მწერალი ტანჯულ წამებული ილია ჭავჭავაძე...

სამსახურის გამო დავრჩი თფილისში ორ წელიწადს.

ანტონ ფურცელაძე ამ დროს იყო დამფასებლათ სააზნაურო ბანკში და ითვლებოდა ილიას მომხრეთ. ეს გულუხვი ქართველი ხშირათ პატიჟობდა სადილ-ვახშამზე ქართველ მწერლებს, სადაც ვესწრებოდი მეც და სადაც იმართებოდა ცხარე კამათი ჩვენს საჭირბოროტო კითხვებზე. ჩემი ცხოვრების ერთ საუკეთესო ფურცლათ დარჩება ეს ხანა, ეს დრო თფილისში ყოფნისა. ანტონის წყალობით მე გავეცანი და დავუახლოვდი თფილისში ჩვენს საუკეთე-

საგაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვ—ბის
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის

ნ. ხრისტოდულიდის (ბრუსის ქალაქიდან)

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშობისთვემდე ... თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელშიც 200 კოლოფია ექვს მისხლიანი. მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ. ... ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის სავაჭროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.

ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი სახოვახო სამკაული: ნავთის სამთვრები, ლუმლები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინოლიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მჭირფასი სახოვახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.

სო მწერლებსა და მოღვაწეებს, გავეცანი ქართლის ინტელიგენციას. ა' ეთ ქომაგობას უწევდა ანტონი ბევრს ჩემისთანა ახალგაზდას მეტადრე დასავლეთ საქართველოდან მოსულთ.

ჩვენი მეგობრობა უფრო განმტკიცდა ევროპიდან ჩემს ჩამოსვლის შემდეგ, ამ ბოლო წლებში ანტონმა შეიყვარა ქუთაისი და ზამთარში მთელი თვეობით რჩებოდა აქ თავის შვილთან. სასიამოვნო იყო ამ მოხუცთან კამათი. მიუხედავათ თვისი სნეულობისა და 75 წლისა, ეს სიმპატიური მოხუცი ახლაც დიდი ხალისითა და ჭაბუკური გატაცებით დაგიწყებდა კამათს სხვადასხვა სერიოზულ საკითხზე. ის არ ცხრებოდა, მას იტაცებდა მაღალი საგნები, ქვეყნისა და ერის ჭირ-ვარამი, რასაც ასე გატაცებით ელტვიან ჩვენი მესამოცე წლების მოღვაწენი.

ღარიბი აზნაურის შვილი ანტონი შეყავთ სამხედრო ლიცეიში, სადაც თამაშობის დროს ტყდება ფეხი და იძულებული ხდება დაანებოს თავი სწავლას მესამე კლასიდან. მაგრამ ის არ ეცემა სულით, არ გარბის სოფლათ, როგორც მისი ამხანაგები, ეს ღარიბი ახალგაზდა რჩება ქალაქში, ითმენს შიმშილს, წყურვილს, სიცივესა და ყოველგვარ გაჭირვებას, ეწაფება წიგნებს და თითქმის მარტოთ მარტო, სხვის დაუხმარებლათ ივითარებს გონებასა და იღებს განათლებას. გაჭირვება, შიმშილი, სიღარიბე, უმწეობა აფოლადებს ამ ჭაბუკის სულსა და ხასიათს.

აი რა უნდა დაფასდეს ყველაზე უფრო! ანტონ ფურცელაძის მიმართულება რადიკალურია; იგია მემარცხენე, სულითა და გულით ეროვნულ-დემოკრატი. ის მშრომელი ხალხის მოტრფიალეა, ხალხის კეთილდღეობის მომხრე და იმავე დროს იგია ქართველი ერის თვითცნობიერებისა და კულტურის მატარებელი. მას უყვარს სამშობლო, უყვარს ქართველი ერი უზენაესი გრძნობით, იცავს და ემსახურება მის ინტერესებს, მაგრამ იმავე დროს იგი არ არის ვიწრო შოვინისტი; უყვარს ქართველი გლეხი, ტეტია ქალამნებით, მაგრამ ამავე დროს უყვარს სხვა ერთა გლეხნიც, როგორც ჩაგრულთა შვილნი.

ასეთია ანტონის პოლიტიკური მრწამსი.

საზოგადო საქმეებში ის გულწრფელია, უზადო, მუყაითი, თავდადებული და უზენაესათ პატიოსანი. ეს იშვიათი პიროვნება იმ თავითვე ამოუდგა გვერდით მესამოცე წლების საუკეთესო მოღვაწეებს და მედგრათ ეწეოდა მათთან მძიმე ჭაპანს. სალიტერატურო წრეები, თეატრი, სახალხო წარმოდგენები, ჟურნალი, გაზეთი, ბანკი, წ. კ. გ. საზოგადოება, ყველგან სჩანდა დაუცხრომელი ანტონი, ყველგან ისმოდა მისი გაბედული სიტყვა და უანგარო მოღვაწეობა.

ანტონ ფურცელაძის მწერლობა ნაყოფიერია და მრავალფეროვანი. მან თავი იჩინა მწერლობის სხვადასხვა დარგში. ის ცნობილია როგორც პოეტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, კრიტიკი, პუბლიცისტი და ბოლოს როგორც ისტორიკოსი. ახლაც სიამოვნებით კითხულობს ხალხი ანტონის ლექსებს, პოემებს, „ბაგრატიონთა დიდებას", „თამარ ლაზნელს" და „ცისკარს", დრამას „დიდ მოურავს", რომანს, „მაცი ხვიტიას", პუბლიცისტურ ნაწარმოებს „მახვილი თუ ინდუსტრია" და მეტადრე კი მის ისტორიულ მონოგრაფიას „გიორგი სააკაძე და მისი დრო". ამ წიგნით უკვდავყო ანტონმა თავისი სახელი, ამ გამოკვლევით მან მობანა ჩირქი საქართველოს უზენაეს გმირს გიორგი სააკაძეს და აღადგინა იგი ერის თაყვანების კვარცხლბეკზე. თუ იტალია თავს იქებს გარიბალდით, საფრანგეთი ორლეანის ქალწულით და გამბერტათი, ამერიკა ფრანკლინითა და ვაშინგტონით, ამიერიდან საქართველოსაც ყავს ზეგმირი, დიდებული მამულიშვილი გიორგი სააკაძე, რომელმაც სამჯერ იხსნა საქართველო დაღუპვისაგან და რომლის უზენაესი მიზანიც იყო საქართველოს გაერთიანება და თავისუფლება.

აღარ გვყავს ჩვენი ძვირფასი, საყვარელი ანტონი, ტკბილათ მოსაუბრე, გულკეთილი, მშრომელი და პატიოსანი მოხუცი!..

კურთხეულ იყოს სახელი შენი, ჩვენო მოძღვარო და უანგარო ადამიანო!..

**სიმონ ქვარიანი.**

# კომისიამ,

შემდგარმა იმის გამოსაკვლევათ, თუ რამდენათ საფუძვლიანია ის ხმები, რომელსაც ზოგიერთი ავრცელებდა ასოთამწყობის **დათიკო ლოლობერიძის** (დონ-ლანის) წინაალმდეგ, დაკითხა ყველა ქუთათურ სტამბაში მომუშავეთ, შეკრიბა და მიიღო მხედველობაში ის ცნობები, რომელიც მან საჭიროთ დაინახა ამ საქმის შესახებ და ერთხმათ მივიდა იმ დასკვნამდი, რომ ხსენებულის დათიკო ლოლობერიძის პიროვნების ჩირქის მომცხებსა და მისი დამამცირებელ ხმებს არავითარი საფუძველი აქვს, და თუ ასეთი ხმები ვრცელდებოდა ადგილობრივ მუშებში და საზოგადოების ზოგიერთ წრეში, ეს აიხსნება მხოლოდ მის (ხმების) ავტორთა დათ. ლოლობერიძისადმი პირადი მტრობით...

**კომისიის წევრნი:** ე. გაგამჭკორი, ნ. ხომერიკი, ს. ხუნდაძე, აქ. მ. მგალობლიშვილი.

ჩვენ, ქუთაისის სტამბის მუშები ვადასტურებთ კომისიის დადგენილებას—ხელს ვაწერთ: ა. ხელაძე, პ. ვაჭრიძე, ალ. რუხაძე, ტრ. სალაია, კ. გაბუნია, კ. კეჭმაყაძე, კ. მალანია, ბ. ჯულაყიძე, ე. ჰეჰინაძე, ტ. ლევიძე, ს. ხელაძე, კ. ბაქრაძე, ან. ქორიძე, ს. ბახტაძე, ი. ნარჩემაშვილი.

კომისია სთხოვს სხვა რედაქციებს ეს ცნობა გადაბეჭდონ.

# ნარევი.

**იაპონელი ქალები.** იაპონელი ქალის დამახასიათებელი თვისება მორჩილებაა. იაპონელი ქალი უპირველეს ყოვლისა მამას ემორჩილება, შემდეგ ქმარს და ქმარს შემდეგ კი უფროს ვაჟს. იაპონიაში ქალის თვითმოქმედება სასტიკათ აკრძალულია. მიუხედავათ ამისა, ქალმა იქ შევიწროებას თავი დააწია. იქაური ქალები განათლებას ძალიან ეტანებიან. ამჟამათ იაპონიაში ორასი ქალთა უმაღლესი შკოლაა. ქალთა პირველი უმაღლესი შკოლა 1901 წელს დაარსდა. უკანასკნელ ხანებში იაპონელი ქალები მედიცინას ეტანებიან.

**მათხოვრობა ესპანიაში.** მათხოვრობა ესპანიაში ძალიან გავრცელებულია. ქალაქებში ქუჩები სავსეა მათხოვრებით. გლეხთა საცხოვრებელი ბინები ძლიერ ცუდია. გლეხს გაურეცხავი ტანსაცმელი მანამ აცვია, სანამ არ შემოალპება და შემოაცვდება ტანზევე. ესპანიაში შრომის პირობებიც მძიმეა, ხელფასი უმნიშვნელო. ქალაქებში ძალიან გავრცელებულია პროსტიტუცია. მცხოვრებთა ორმა მესამედმა წერა-კითხვა არ იცის.

**მცირეწლოვანა მოგზაური.** ერთს ამერიკულ გაზეთში ოთხი წლის პატარა გოგოს მგზავრობის ამბავი სწერია: ბავშვი ვენიდან დედასთან კალიფორნიას გამგზავრებულა. ნიუ-იორკამდი მესამე კლასის ვაგონით მისულა. გზაზე ბავშს ხუთი დოლარის მეტი დაუხარჯავს. მას გულზე ფირფიტა ქონია ჩამოკიდებული, სადაც ეწერა: „გთხოვთ მზრუნველობა გამიწიოთ. მივდივარ კალიფორნიას დედასთან. თუ ღმერთი გწამთ, ნუ მაკოცებთ" ბავში მშვიდობით ჩასულა კალიფორნიას.

**თავის დაწვა.** ინდოეთში არის ასეთი ჩვეულება: როდესაც ინდოელი მოკვდება, მისი ცოლი თავს იწვავს. ინგლისელები ებრძვიან ამ ჩვეულებას, მაგრამ ვერას გამხდარან. წასულ ხანებში ინგლისის სასამართლომ გაარჩია ხუთი ინდოელის საქმე. მათ ბრალდებოდათ ქვრივების ჩაგონება, რომელთაც თავი დაიწვეს. ბრალდებულ ინდოელებს სამ-სამი წლის ციხე მიუსაჯეს. სასამართლოს განაჩენზე ინდოელებმა პროტესტი განაცხადეს: ქალებს თავისით კი არ დაუწვავთ თავი,—ცეცხლი ციდან ჩამოვიდა და მოეკიდათო. ამგვარი მტკიცებისათვის სასჯელზე ერთი წელიწადი მიუმატეს.

**სუფრაჟისტი ქალები.** ინგლისელი სუფრაჟისტი ქალების ორგანო დაპატიმრებულ სუფრაჟისტ ქალთა ძალათ გამოკვების გამო პროტესტებით არის გაჭრელებული. ხსენებული ჟურნალი ამგვარ ღონისძიებას ინკვიზიციათ სთვლის. ხანდახან ზოგიერთ ქალს ცხვირიდან აძლევენ საჭმელს და ეს უსასტიკეს წამებას ღემატებაო.

# ანგარიში.

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ქვემომოყვანილ ანგარიშს „ქუთაისის რეალური სასწავლებლის ხელმოკლე მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების" სასარგებლოთ ამა წლის 6 ნოემბერს „რადიუმში" გამართულ სინემატოგრაფიულ სეანსებისას.

საერთო შემოსავალი იყო 596 მან. და ერთი აბაზი. აქიდან 579 მან. და ერთი აბაზი ბილეთების გაყიდვით შემოვიდა, ხოლო 17 მან. პრემიებათ.

საერთო გასავალი იყო 166 მან. და ერთი აბაზი; აქიდან—120 მან. „რადიუმის" ქირა სეანსებისთვის, 44 მან. და ერთი აბაზი მარკებისა და 2 მან. წვრილმანი ხარჯი. წმინდა შემოსავალი დარჩა „საზოგადოების" სასარგებლოთ 430 მან. შემოწირულობით შემოვიდა: ბ. ქუთაისის გუბერნატორის ა. ი. სლავოჩინსკისგან (10 მან); ქალთა კერძო გიმნაზიის უფროსის ქ-ბ-ნ ე. პ. ხოჯევანიშვილს ქალისაგან (6 მან.) და აქიმის მ. ლ. ლორთქიფანიძისაგან (1 მან).

„საზოგადოების გამგეობა თავის მოვალეობათ სთვლის უღრმესი მადლობა შესწიროს ზემოხსენებულ შემომწირველთა და აგრეთვე ქუთაისის პოლიცმეისტერს ნ. ი. ტერ-ანტონოვსა და მისს თანაშემწეს მ. პ. სერგეევს საქმის მატერიალურათ წარმატების ხელის შეწყობისათვის და ყველა იმათ, ვინც სეანსებზე დასწრებით, ანუ სხვა მხრით შეძლებისადაგვარათ ნივთიერი დახმარება გაუწია სასწავლებლის ხელმოკლე მოწაფეთა არა მცირე რიცხვსა.

სრული პატივისცემით „საზოგადოების" გამგეობა.

ქ. ქუთ., 13 ნოემბ., 1913 წ.

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

გ. ბორდამისა და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათუმისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაგ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ლუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

საკურნალო
აბანო
მჭირფასი მთის აერზე
ძმ. ყორყოლაძეების

ხრესილში.

ქვემო იმერეთის ტყით დაფარულ მთებზე.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმები) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.




ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).
ა. თაბაგრის მაღაზიაში.

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.

ფასები ძლიერ დაკლებულია. ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.

მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავლის თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო. ამერიკული ვაზის სანერგე „კლო ყლურული" ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოს—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო"-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და მელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე ძმ. გოკიელის სახლში ვ. ტიეგო.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვსი ქუთაისში.